# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციაში ყოველდღე ... 5—7-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები სულ არ ინახება; ... მოთხოვნისა.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულებისთვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ სტრიქონი 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლისაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ. მოვაგონებთ „ლელოს" ის ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## ქართველ ქალთა ამხანაგობის

### სახელოსნო სკოლაში

25 მარიამობისთვიდგან 15 ენკენისთვემდე ამა წლისა, მიიღებენ მოწაფეთ 13 წლიდგან ვიდრე 16 წლამდე. საჭირო ცოდნა მხოლოდ ქართული წერა-კითხვისა.

აქვე, 1-ლ ენკენისთვიდგან მიიღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას. აგრეთვე ყოველ გვარ საკერავს: თეთრეულს და ნაქარგს. ვერა გაბაანთ ქუჩა № 3

## კერძო საქალებო 4 კლასიანი სასწავლებელი

**კნ. ანასტასია ლევანის ასულის ჩერქეზიშვილისა.**

(საანბანო, უმცროსი და უფროსი განყოფილება მოსამზადებელ კლასისა I, II, III, IV კლ.)

**მისაღები გამოცდა იწყება ყველა კლასებში 1 ენკენისთვეს**

1 ენკენისთვეს—რუსულ ენაში ყველა კლასებში
2 ენკენისთვეს—ანგარიში
3 ენკენისთვეს—ისტორია და სამღვთო რჯული
4 ენკენისთვეს—გეოგრაფიასი და ბუნების მეტყველობისა.

მისამართი: ალექსეევის ქუჩა № 17.

**სწავლა იწყება 5 ენკენისთვეს.** (10—5)

## ახალი სკოლა პანსიონით

**ვიმნაზიის პროგრამით**

გაიხსნება საანბანო და მოსამზადებელი განყოფილებებით. ამზადებენ ბავშვებს ქართული გიმნაზიებისა, კერძო სკოლებისა და მთავრობის სასწავლებლებისათვის მეოთხე კლასამდე. დაწვრილებით ცნობების მიღება და ყმაწვილთა ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდგან 1 საათამდე. მისამართი: მამადავითის ქუჩა, № 36, ბინა მარიამ ერისთავისა. 8—5

**ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის**

ქარხნები

## მ. ე. ლაღიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

**ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!**

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **სვან ყოველთვის** მხოლოდ და მარტო **მიტროფანე ლაღიძის** და **ამხანაგობის** ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო **წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი** მზადდება **უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლაღიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

## თბილისის სამეურნეო ბანკის არაჩვეულებრივი

## საზოგადო კრება,

რომელიც არ შესდგა 19 ივლისს 1915 წელს წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, **დანიშნულია კვირას, 6 სექტემბერს დილის 11 საათზედ** ზემოხსენებულ ბანკის სადგომში. კრებამ უნდა ამოირჩიოს გამგეობის თავმჯდომარე ნაცვლად თ. დიმ. ერ—ძე ჩოლოყაშვილისა, რომელიც არჩეულ იქმნა თბილისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლად.

## გადაწერას საწერ მანქანის

**საშვალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას**

**ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს**

## ი. თ. გვათუას კანტორა

**ვერის დაღმართი № 1**

ტელეფონი 17—05

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. **ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

**ძ. ბორჯში**

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

პირველხარისხოვანი

## სასადილო

## „კაფე ბორდო"

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაზედ № 1.

**უაბა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე** დილის 9 საათიდან 12 საათამდე. **სადილი** 1—6 საათამდე. სადილი 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვეულებრივ საჭმლები: ხარჩო, ლობიო, საცივი, ბაჟაური, ნაცნიძე და სხვა და სხვა ბლომად ნუგბარი, ცხელი „პირაჟკები". ... სადილი იგზავნება ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

## განცხადება

ეკონომიური განყოფილება შავი ზღვის რკინის გზისა ამით აცხადებს იმ პირთა საყურადღებოდ, რომელთაც სურთ მიიღონ თავის თავზედ მოტანა რკინის გზის საჭიროებისთვის შემდეგი სანოვაგისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | პურის ფქვილი ყველა ან პირველ სორტისა | 7,500 | ფუთი |
| 2. | მარილი ფუთიან ტომრებში | 290 | " |
| 3. | დამარილებული ღორის ქონი (სალა) | 770 | " |
| 4. | სამარხვო, ანუ მზესუმზირას ზეთი | 300 | " |
| 5. | ქვიშნის უგრეხელას მარცვალი, Гречн. крупа | 1500 | " |
| 6. | ფეტვი | 1500 | ,, |
| 7. | მუხუდო | 100 | ,, |
| 8. | ხახვი | 125 | ,, |
| 9. | ძმარში ჩადებული ჭარხალი (ბურაკი) | 1.700 | ,, |

გარდა ამისა ყოველ თვიურად მოტანა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1, | კარტოფილისა | 1,500 | ,, |
| 2. | კომბოსტოსი, ახალი ანუ დამჟავებული | 380 | ,, |

ფასები ზემოხსენებულ სანოვაგეზედ უნდა იყოს ნაჩვენები იმ ხარჯებთან ერთად, რასაც იღებს გამომგზავნელი რკინის გზის სადგური. მხოლოდ, რაც შეეხება სხვა ხარჯებს როგორიც გახლავთ სადგურ ახალსენაკამდის ტვირთის მოტანა, შავი ზღვის რკინის გზა თავის თავზე იღებს.

ვისაც სურს ზემოხსენებული სანოვაგის მოტანა იჯარით აიღოს, მათ უნდა განცხადება გაგზავნონ დახურულ პაკეტებით, რომელშიაც ნაჩვენები იქნება განმარტებითი ფასები, და ის რკინის გზის სადგური, რომლიდგანაც უნდა მან ამ სანოვაგის გამოგზავნა. პაკეტებზე უნდა ეწეროს სანოვაგე. განცხადებანი უნდა იყოს გაგზავნილი არა უგვიანეს 15 ენკენისთვისა შემდეგი მისამართით: Сочи, Начальнику хозяйственнаго отдѣла черноморской желѣзной дороги. (6—1)

# შტაბის დეპეშები

თბილისი, 29 აგვ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან 27 აგვისტოს ზღვის პირა რაიონში ოსმალებმა რამოდენიჯერმე სცადეს მდინარე არხავეზე გადმოსვლა, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოდ რჩებოდა. განთიადზე ოსმალებმა ისარგებლეს ნისლით და იერიში მოიტანეს მალარალდაგის მთაზე, მაგრამ დიდის ზარალით უკუქცეულ იქმნენ. ოლთისის მიმართულებით. ოსმალები მთელის დღის განმავლობაში, რუსების პოზიციებს ესროდნენ. მელიაზგერთის სამხრეთით რუსების ცხენოსნებმა ოსმალები სოფელ დომიანიდან განდევნეს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

თბილისი, 30 აგვ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 28 აგვისტოს ზღვის პირა რაიონში სროლაა. ოლთისის მიმართულებით ოსმალებმა თოფ-ზარბაზანი დაუშინეს ვარაკეთის მთას, მაგრამ რუსებმა უკანვე განდევნეს ჰოროხისკენ. მელიაზგერის დასავლეთით კუპიკანის რაიონში, რუს მზვერავებს შეტაკება ჰქონდა ქურთებთან. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 28 აგვ. ოფიცალი. დვინის მარცხენა ნაპირზე. რიგის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რუსის ჯარები ბრძოლით მიდიან მდ. მისსისა და რკინის გზის სადგურ მროსეკათ და ნეიგუთის შუა რაიონში. იაკობშტატის დასავლეთით ბრძოლა ძველებური სიკერპით ჰხდება. დვინის მიმართლებით, აბელის ჩრდილოეთით, მზვერავთ მოუხდათ შეჯახება. ვილკომირის შარა გზაზე გერმანელები საკმაო ძალებით გამოემართნენ დილით 27 აგვ. და კურკვილის რაიონში შარა გზის ორთავე მხარეს ენერგიულად ეკვეთნენ რუსებს. მათი მოსაგერებლად რუსებს დაეხმარნენ ტყვიისმფრქვეველთა რაზმი. ბრძოლა გრძელდება. სვენტისა და ვილიის შუა გერმანელთა ცხენოსანი რაზმი და ქვეითა ჯარი შირვინტის რაიონში შეებრძოლა რუსებს. ვილნოსკენ მიმავალ დანარჩენ გზებზე მდგომარეობა უცვლელია. გროდნოს აღმოსავლეთით. დილით, 28 აგვ. გერმანელები ძლიერი არტილერიის ცეცხლით ეკვეთნენ რუსთა პოზიციებთ სკიდელის საზოგადო მიმართულებით და ზელიავის ქვემოდ. მათი იერიშები მოგერებულ იქმნა. გერმანელთა იერიში დღის 4 საათზე სკილულში მიმავალ შარა გზაზე დაიწყო ძლიერი საარტილერიო ცეცხლით. მათი მძიმე თუ სუბუქი არტილერია შეჩერებულ იქმნა რუსების ცეცხლით. საღამოს 7 საათზე გერმანელებმა საარტილერიო ცეცხლი გააძლიერეს და კვლავ იერიშით წამოვიდნენ. მათი სურვილი იყო რუსების ფრონტი გაერღვიათ, მაგრამ ამ ცდამაც უნაყოფოდ ჩაიარა რუსთა არტილერიით და ტყვიისმფრქვეველებით. აგრეთვე მოგერებულ იქმნა გერმანელთა იერიშები სოფ. ლიადთან, ნემანის სამხრეთით დიდებზე. ამასთანავე ორი ქვეითი რუსის ჯარის კაცი თავისი ნებით გავიდნენ, ზურგით მოექცნენ მწკრივად ჩამოსულ გერმანელებს, ორი მოჰკლეს. ერთი გაქციეს და სამიც ტყვედ წამოიყვანეს. დანარჩენ სიგრძის გასწვრივ პრიპიატამდე გერმანელებმა იერიშები განიმეორეს რუჟანის რაიონში და პინის ნაპირების გასწვრივ გამოემართა. რუჟანთან რუსებმა მოიგერეს მათი იერიშები, თავის მხრით კონტრ-იერიშით უპასუხეს, მაგრამ გერმანელებმა რუჟანის მშვიდობიანი მცხოვრებნი დაილალეს, მათ ამოეფარნენ და ასეთ სახით მეტად ახლოს მივიდნენ რუსების პოზიციებზე. კრემენცის მიმართულებით გერმანელებმა მოშხამული ბოლი გამოუშვეს გორინის ზემო რაიონში. სერეტზე რუსის ჯარებმს მოიგერიეს გერმანელთა მთელი რიგი იერიშებისა, ტრემბოვლის ქვემო ნაწილზე გადავიდნენ და ჩამატვოვის რაიონში კონტრ-იერიშით შეუტიეს. რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს ხუთ ათას ჯარისკაცამდე 16 ოფიცერითურთ. საზოგადოდ რუსის ლაშქარი გულდამშვიდებულია და სწამს საბოლოო გამარჯვება. ნელ-ნელ გამარჯვება ახლა ამათ მხარეზე გადმოდის.

პეტროგრადი, 29 აგვისტო. ოფიციალი. მთავარსარდლის შტაბისაგან. ბალტიის პორტზე 28 აგვისტოს დაფრინავდა „ცეპელინი" და რამოდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო. რუსეთის ჰიდროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს ვინდავაში მდგომ გერმანეთის გემებს. რიგისა და ფრიდრიხშტადტის რაიონებში დიდი ბრძოლა არ ყოფილა. იაკობშტადტის რაიონში 28 აგვისტოს საღამოს რუსებმა მოიგერიეს გერმანელთა რამოდენიმე იერიში. სადგურ პონეუნექთან, დვინსკის მიმართულებით, რუსების არტილერიამ ჩამოაგდო გერმანეთის ჰაეროპლანი, რომელმაც ყუმბარები დააყარა რუსის სასანიტარო მატარებელს. სვენტასა და ვილიას შორის, ვილკომირის აღმოსავლეთიდ მდებარე რაიონში მთელი 28 აგვისტოს განმავლობაში გერმანელთა დიდი ძალები გაბედულად წინ მოიწევდენ. გერმანელთა ჯარები მოდიან დვინსკის შოსითა და ახლო-მახლო შარა-გზებით. გერმანელთა მთავარი ძალა, მძიმე და მსუბუქი არტილერიის დახმარებით, მიმართულია ამ შოსის სამხრეთისკენ. ამავე დროს გერმანელთა დიდ-ძალი ჯარი მოიწევს შირვინგის აღმოსავლეთ რაიონში ვილკომირიდან სვენციანის საერთო მიმართულებით. ვილიასა და ნემან შორის მდგომარეობა არ შეცვლილა. ქვემო მერეჩანკაზე მკაცრი საარტილერიო ბრძოლა იყო. 28 აგვისტოს დილიდანვე გერმანელებმა მკაცრის იერიშებით აოიწევდენ გროდნას აღმოსავლეთით ოზერა-სკადელის ფრონტზე. იერიში რუსებმა მრავალგზობა მოიგერიეს, თვით დაბა სკიდელი ხელიდან ხელში გადადიოდა, ბოლოს საღამოს ჟამს, რუსის ერთი ბატალიონის თავგამოდებული შებრძოლების წყალობით იგი რუსებზე დარჩა. რუსის ცხენოსნებმა ძლიერ შეუტიეს გერმანელებს, ქვეითი ჯარი თავგანწირული ეკვეთა მათ, რის შემდეგ გერმანელები გააქციეს თხრილებიდან და სკიდელის სამხრეთით მდებარე სოფლებიდან. დაბა პესკსო და დაბა ზელვთან მდ, ზელვიანსკზე, მდ. ნემანის სამხრეთით მდებარე ფრონტზე სასტიკი ბრძოლა იყო. პესკის რაიონში რუსეთის არტილერიამ სულ ერთიანად გაანადგურა გერმანელთა ბატარეია, რის შემდეგაც რუსებმა ადვილად შეაჩერეს გერნანელთა რამოდენიმე იერიშები. ზელბთან, მიუხედავათ იმისა რომ გერმანელთ თოფ-ზარბაზნის სროლასთან ერთად სულთამხუთ გაზებსაც ხმარობდენ, რუსებმა 28 აგვისტოს განმავლობაში გერმანელთა რამოდენიმე იერიში მოიგერიეს. რუსებმა თითქმის ერთიანად შეინარჩუნეს მდ. ზელვიანკის მარჯვენა ნაპირზე დაჭერილი პოზიციები. ეს ნაპირი გერმანელებისგან თითქმის ერთიანად გაანთავისუფლეს. როჟანთან, სლონიმისკენ მიმავალ შოსეზედ გერმანელები სამ გზობა შეეცადნენ რუსის ჯარებზე იერიშის მოტანას, მაგ-

რამ ვერას გახდნენ, მიუხედავათ იმისა რომ ეტყობოდა დიდი წინასწარი საარტილერიო მოწოდება. უფრო სამხრეთით მდ. პრიპეტამდე კანტი-კუნტი სროლა და შეტაკება. როვენის მიმართულებით, 28 ავგისტოს რუსები აჩერებდენ დერაჟნოსაკენ მომავალ გერმანელებს. გილიციის საზღვრებზე გორინის ზემო ნაწილის ორსავე გაპირებზე ავსტრიელებმა იერიშები განაახლეს, ამასთან მარჯვენა ნაპირზედ რუსები აჩერებდენ მოწინაალმდეგეს, მიუხედავად იმისა რომ ესენი სულთამხუთ გაზებს ხმარობდენ. ავსტრიელთა ზოგი როტა სულ გაანადგურა რუსების არტილერიამ. ტირნოპოლის რაიონში, რუსები შეტევას დაადგნენ 28 ავგისტოს დილით და ხძლევდენ ავსტრიელთა საშინელ წინაალმდეგობას.

ტყვეების ჩვენებით, მათი მეექვსე ეგერთა ბატალიონი, სულ ეხლახან შევსებულა, რუსების არტილერიას გაუნადგურებია. რუსების შემოტევას მტერი ვერ გამკლავებია და გაქცეულა. 28 ავგისტოს რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 39 ოფიცერი და 2,500 ჯარისკაცი, 16 ტყვიისმფრქვეველით. რუსის ჯარს დიდი დახმარება გაუწია ტყვიისმფრქვეველებით მორთულ ავტომობილების რაზმმა. ავსტრიელებმა დაიხიეს დნესტრისაკენ. ტარნოპოლის ქვემოდ მდებარე რაიონში მკაცრი ბრძოლაა გაჩაღებული, რუსებმა მოიგერიეს მთელი რიგი შეუბრალებელი იერიშით. მდ. სერეტის შესართავთან და დაბა ტლუტესთან რუსებმა შემოუტიეს და საქმეც კარგად წავიდა. მიუხედავად ავსტრიელების ძლიერი ცეცხლისა რუსებმა დაბა ტლუსტე ავსტრიელებისაგან სულ ერთიანად გასწმინდეს. რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 13 ოფიცერი და 800 ჯარისკაცი.

შავს ზღვაზე ნაპირების გაყოლებაზე რუსებმა აღმოაჩინეს მტრის წყალქვეშა ნავები, რომელთაც დაადევნეს ნაღმოსნები და ჰიდროპლანები. საერთოდ ავსტრიელები და გერმანელები ხან აქ ჩნდებიან, ხან იქ და ცდილობენ მკაცრად გვეკვეთნონ.

**შენიშვნა:** გერმანიის ოფიციალი ცნობა 27 ავგისტოს თარიღით, უარყოფს რუსეთის მთავარსარდლის შტაბის ცნობას 26 ავგისტოს თარიღით შესახებ მრავალი ტყვის წამოყვანისა და 80 ზარბაზნის და ტყვიისმფრქვეველის ხელში გდებისა. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბი საჭიროდ სთვლის განმარტოს, რომ რამდენადაც ადამიანის ძალღონე, მეცადინეობა და სამხედრო ხელოვნება ამის საშუალებას იძლევა, შტაბი ყოველთვის ცდილობს ამბები სრულის სისწორით აღინიშნოს, ყოველგვარ ტენდენციურ გაშუქების გარეშე.

შეცდომა აუცდენელია იმ რთულ სწრაფი სულისკვეთების გარემოში, რომელშიაც ბრძოლა სწარმოებს. ამიტომ შტაბი თუმც ადასტურებს რუსების გამარჯვებას ტარნოპოლთან და ტრემბოვლესთან, რაც აშკარად სჩანს რუსის ჯარის მოქმედებიდან. შტაბი აგვიანებს წამოღებულ ტროფეების გამოქვეყნებას, ვიდრე ბრძოლის ადგილიდან უფრო დაწვრილებითი ცნობები მოვიდოდეს. ერთი ასეთი ცნობა, რომელიც 26 ავგისტოს არის მოსული, ამბობს მთელი იმ იარაღიდან, რომელიც რუსებმა ხელთ იგდეს, ჯერჯერობით გამოიტანეს ექვსი ათ სანტიმეტრიანი და ექვსიც თხუთმეტ სანტიმეტრიანი ზარბაზნები. მარტო ეს ცნობა ამტკიცებს რომ გამარჯვებაში ეჭვის შეტანა ყოვლად შეუძლებელია.

**პეტროგრადი,** 30 ავგ. ოფიციალი. რიგისა და ფრიდრიხშტადტის რაიონშა საალტირელიო სროლა და პატარ-ბატარა შეჯახებაა. იაკობშტადტიდან რუსის ჯარები 29 ავგ. დილიდანვე იერიშზე გადავიდნენ. მდ. პიკსტერნთან სასტიკი ბრძოლა მოხდა. დვინსკის გზისაკენ 29 ავგ. გერმანელები სამი გზით წამოვიდნენ: მდ. რუსეისა და ნემანის შუა, საევეინიშკის ჩრდილოეთით სკოპიშკის რაიონში და ვილკომირიდან გამოსულ შარა გზით იატინთან. ამ უკანასკნელ მიმართულებით გერმანელებს დიდძალ ჯარაბისთვის მოეყარათ თავი, რის გამოც რუსებმა სასტიკი წინაალმდეგობის შემდეგ დუსიატის ტბისკენ დაიხიეს. სკანნისა და ვილიის შუაც გერმანელები გარდამწყვეტ იერიშით წამოვიდნენ და პოდბროზეს რკინის გზის სადგურისაკენ გამოქანდნენ. რუსის ჯარები, მიუხედავად გერმანელთა სასტიკი წინაალმდეგობისა, მაინც ახერხებდნენ მათს შეჩერებას ცეცხლითა თუ კონტრიერიშით. ორან-მოსტის ფრონტზე მძაფრი ბრძოლა გრძელდება სკიდელის რაიონში, სადაც გერმანელთ მაშველი ჯარები მოუვიდათ. რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 1 აფიცერი და 101 ჯარისკაცი ხუთი ტყვიისმფრქვეველითურთ. ამ რაიონის ჩრდილოეთით გერმანელთ მოჰქონდათ იერიშები, მაგრამ ადვილად იგერებდნენ. ტყვეების ჩვენებით გერმანელები უკანასკნელ ხანში ბრძოლით მოიქანცნენ თითო როტაზე ას კაცამდის ეხოცებათ. რაკიდა რუსის ჯარები ნემანზე და მის სამხრეთით მეტად წინ წაწეული არიან, ამიტომ გადაწყვეტილია ფრონტის გასასწორებლად უკან დაახევინონ და ისე შეაჩერონ გერმანელთა შემოტევა. ამასთანავე რუსებს განსაკუთრებით 29 ავგ. უტევდნენ ქვემო ზელვიანკზე და სლონიმო-ბარანოვიჩის შარა-გზაზე, ზელვისა, რუჟანისა და კოსსავას სამხრეთ-აღმოსავლეთით. ქვემო ზელიავკაზე რუსები გერმანელთა გააფთრებულ იერიშებს მთელ 29 ავგ. განმავლობაში ყოჩაღად იგერებდნენ. ზელვისთან რუსების ცეცხლმა მოსპო მათი ბატარეია, მაგრამ გერმანელებმა პირი მოიბრუნეს, ძლიერი ცეცხლი გააჩაღეს და მთელ ღამის განმავლობაში მას თან ეფერებოდნენ და თან ისე მოჰქონდათ იერიშები შარა გზის ორთავე მხარის გასწვრივ. ბარანოვიჩის შარაგზაზეც ძლიერი იერიშები მოაქვთ. ზარბაზნებში მსხვილი კალიბრისაც მოიხმარეს. აქ რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს ოთხასი ავსტრიელი და პატრონები. ნაკლებ სიცხოველეს იჩენდნენ რეჟანთან ბრძოლაში. პინის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. გერმანელები სცდილობენ კოლკის რაიონში გაიჭრნენ სტრის ორთავ ნაპირების გასწვრივ. როვნოს რაიონში გერმანელებმა ძალები შემოიკრიბეს დერაჟნოს რაიონისკენ წამოვიდნენ. მათი იერიში ჯერ-ჯერობით შეჩერებულია. კრემენეცკოს მიმართულებით იერიშები მოაქვთ ზემო გორინის ნაპირებზე, თუმცა უნაყოფოდ. აქ ავსტრიელები უკუგდებულ იქმნენ დიდი ზარალით. 200 ტყვე ავსტრიელიდან 40 ნესით გამოიქცა რუსების თხრილებისკენ. ტარნოპოლის რაიონში რუსები იმარჯვებენ. ქალაქის ჩრდილოეთით 29 ავგ. ტყვედ წამოიყვანეს 91 აფიცერი და 4200 ჯარისკაცი, მათ შორის გერმანელებიც, 9 ტყვიისმფრქვეველი და მრავალი სამხედრო სურსათი. მოწინაალმდეგეს განახლებულ იერიშების დროს დიდი ზარალი მოუვიდა, მიუხედავად იმისა, რომ მაშველი ჯარები მოუვიდათ. მათ 2 ვერსის მანძილზე ბოლით დაჰფარეს მთელი ფრონტი. ტარნოპოლის სამხრეთით რუსებს დიდი დახმარება გაუწია ჯავშნიანმა ავტომობილებმა, რომელნიც მთელი საათობით პირში უდგნენ მტერს და შეუწყვეტლივ ესროდნენ. 30 ავგ. დილიდან რუსები ტარნოპოლის სამხრეთით იერიშზე გადავიდნენ. სერეტზე ტლუსტეს რაიონიდან ავსტრიელები დნესტრისკენ მიდიან. რუსები სდევნიან. მრავალი ტყვე წამოიყვანეს.

შავ ზღვაზე, ჩაუდეს კონცხთან, მტრის წყალქვეშას შეებრძოლნენ რუსის გემები. საზოგადოდ რუსები გეგმას ასრულებენ. ლაშქრის მდგომარეობაც უმჯობესდება.

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ზარალის აღნიშვნა.**

პრუსიის ლანდტაგის საბიუჯეტო კომისიის წევრებმა მთავრობის წარმომადგენელთან ერთად მოიარეს აღმოსავლეთი პრუსია. და რუსის ჯარის შესევის გამო შემდეგი ზარალი აღნიშნეს:

დაზარალებულა 24 ქალაქი, 600 სოფელი, დანგრეულია 30,000 შენობა და 100,000 სადგომი. გამოქცეულთა რიცხვი 400,000-სს აღწევდა. შარშან ლანდტაგმა გადასდო 400 მილიონი მარკა აღმოსავლეთ პრუსიაში მცხოვრებთა გაჭირვებულ პირობის შესამსუბუქებლად. პირველ ივლისს დაზარალებულთა ქონების ასანაზღაურებლად და დასაჯილდოვებლად გადადებულ იქმნა 125 მილიონი მარკა.

**რიგის ამბები.**

რიგიდან მოსკოვში თუ სხვა შუაგულ ქალაქში გადააქვთ ყოველგვარი ძვირფასი ნივთი. გადაიტანეს აგრეთვე ძვირფასი ლითონი: ძველი ზარები და ზარბარზნები. ლიუტერანების ეკლესიას მოხსნეს სპილენძის სახურავი რომლის ფასი 50,000 მანეთს აღემატება. სასტიკად აკრძალულია ყიდვა ძვირფას ნივთეულობისა თუ საქონლისა. ამასთანავე აჯარიმებენ იმ პირს, რომელიც ხურდა ფულს ჰმალავს. ქალაქში სანოვაგის მოფენა მეტად გაძნელდა. ორი კვირაა შაქარი სულ აღარ იშოვება. ფქვილის უქონლობის გამო თალხ პურს აღარ აცხობენ, ხოლო თეთრ პურის ფასმა დიდად აიწია. ძნელი საშოვნელია წუმწუმა და ნავთი. მოწინაალმდეგის ჰაეროპლანები იშვიათად ღა სჩნდებიან, რადგან რუსის ჰაეროპლანები ქალაქს სდარაჯობენ. გამუდმებით ისმის ზარბაზნის გრიალი.

**საიდუმლო თხრილები.**

ხოლმის მიდამოებში დაბინავებულ რუსის ჯარის ზურგს უკან აღმოაჩინეს წინდაწინვე გამზადებული თხრილები და სანგრები, რომელთა გამოყენებაც შეეძლოთ მხოლოდ გერმანელებს. ოფიციალ გამოკვლევას შემდეგი აღმოუჩენია: 1) საალყო ბატარეია და ბლინდაჟი აშენებულია უცნობ პირების მიერ. ვლადავის დასავლეთით 3—4 ვერსის მანძილზე, პირით რუსებს ემუქრებიან და რუსებისავე საწინაალმდეგოდ შეიძლებოდა მათი გამოყენება; 2) ამ ახლო წარსულში აშენებული ადგილობრივი სანგრები არ შეიძლებოდა მტრის საწინაალმდეგოდ გამო-

# ცხოვრება

IX

ოჯახურ ცხოვრებით გატეხილი ღვთისო გულს იმით იმაგრებდა, რომ ასეთს ყოფაში მარტო მე არა ვარო. ყოველთვის სცდილობდა ამხანაგობას არაფერში ჩამორჩენოდა. მათგან ისწავლა წერა-კითხვა, მათგანვე მოისმინა განსაცვიფრებელი საუბარი, რის მზგავსი არასოდეს მას არ შეჰსმია: „სრული ჭეშმარიტებაა,—უთქვია ხშირად,—ან რატომ მოხდა, რომ მე თვითონვე არ მივხვდი ყველა ამას, რასაც არავითარი დამტკიცება არ ეჭირვება?“ მართალია, ფარულ კრებებზე ნალაპარაკებიდან ხშირად ბევრი რამ არ ესმოდა, მაგრამ ალღოთი კი ჰხვდებოდა, რომ მისი თანამოძმენი კარგსა და მეტად კანონიერ რამეს ითხოვდნენ.

— სადაც თქვენ, იქ მე...

ყოველთვის უპასუხნია ღვთისოს. მუშებიც მას იცნობდნენ ყოვლად პატიოსან ადამიანად. არაფერში არ ჩამოურჩენიათ იგი მათი ორგანიზაციის ერთი საუკეთესო და სანდო წევრთაგანი იყო. აი, ამიტომ იყო, რომ პირველ ცდაზევე, როდესაც ქარხნის პატრონს ხელფასის მომატება სთხოვეს და გაფიცვებით დაემუქრნენ თუ მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი დარჩებოდა, ღვთისოც მათ შორის ჩაერია და საზოგადო ხვედრი გაინაწილა. დამარცხდნენ მუშები, დამარცხდა ღვთისოც. პოლიციამ სასტიკი ზომები მიიღო, რომ ეს არაჩვეულებრივი და იმ დროს პირველი ხილი, რკინის პალოდან ახსნილი საშინელი მხეცი, რომელსაც „გაფიცვებს“ უწოდებდნენ, მაშინვე არტახებში შეჰკრეს, კლანჭები ნაადრევად დააჭრეს, რომ ძალაში არ შესულიყო. ბევრნი დაიჭირეს. ბევრნი კიდევ სამუშაოდან დაითხოვეს. მათ შორის ღვთისოსაც მეტეხში ამოაყოფინეს სამი თვით თავი. გამოუცდელი ამ მოულოდნელი მეხით კინაღამ გონზე შეიშალა. ასე ეგონა, ქვეყანა დაინგრაო. მას იმდენად თავი არ ენანებოდა, რამდენადაც უპატრონოდ დარჩენილი ცოლშვილი. სად წავლენ, ვის მიჰმართავდნენ?—აი რა აწუხებდა ღვთისოს. მას ვერ წარმოედგინა, თუ მეტყველთა შორის ასეთი უსიცოცხლო ცხოვრება შესაძლებელი იქნებოდა. მისთვის რო ეწინასწარმეტყველებინათ ასე და ასე მოგივაო, სიცილით მოკვდებოდა. მაშ სულ ეს არის? ესაა ცხოვრება? ესა მისი სამკაული? ხომ იყო დრო, როდესაც ის ადამიანად ჰგრძნობდა თავს, ბედნიერად! მერე ვინ შეისყიდა მისი ბედი, ვინ დაისაკუთრა მისი სიცოცხლის სარბიელი? ვინ გაჰხადა უუფლებო ყმად, თუ გნებავთ, ცხოვრების ბუშად? ან ვისა ჰქონდა უფლება მყუდრო ოჯახისთვის მოეტაცნათ მისი მრჩენელი? ხომ მთლად გაუბედურდა თვით ოჯახის ბურჯი მისი მელანო? მაგრამ პასუხი არა სჩანდა.

მართლაც, ღვთისოს თვის მელანოსი და ბავშვების საკითხი ჯოჯოხეთურ წამებას განაცდევინებდა. ბევრი იფიქრა, ვისთან მივიდოდნენ, ვინ უპატრონებს იმათაო. გაიხსენა მეზობლები, თვით ნათელმირონი, ცქრიალას ნათლია ხალამპრე, მაგრამ მაშინვე ხელი ჩაიქნია.

— მოკეთე? ისიც ეხლანდელ დროში! სისულელეა! მოკეთე მაშინა ხარ, თუ დატვირთული ძღვენით მიხველ ისიც ერთი დღით, ვიდრე ნაძღვნით ისიც სძღება და შენც წილს გიდებენ, თორემ ისე ცარიელ-ტარიელი, ისიც ბავშვების ანაბარად კარგი მოკეთეობაა შენმა მზემ!

გული იმიტომ უფრო გაუცუდდა, რომ ნათლია კაცი ხალამპრე იმერელი კაცი იყო და მას იმერლებისა კი არა სჯეროდა რა. გამოცდილებამ მუშებშივე დაარწმუნა, რომ შეუძლებელია იმერელი ქართლელსავით გულგაშლილი იყოს. იგი, უწინარეს ყოვლისა, ფლიდია, გაუტანელი, მატყუარა, ვიწრო ეგოისტი, ლაქუცა და პირმოთნე. მას სჯეროდა მოსიარულე არაკები, თუ თავაზიანი იმერელი მასპინძელი სტუმარს მეორე კარით როგორ გაჰპარვია. მაშ მის მელანოს როგორ-ღა იტვირთავდა? სჩანს, ხსნა არა სჩანს. ვინ იცის, რა დამცირება არ აიტანოს, ვინ იცის, მათხოვრობაც მოუხდეს, გავიდეს ქუჩად და... თავისით გაიყიდოს სულით და ხორცით, რომ ცქრიალას ლუკმა პური უშოვოს? საშინელება იყო ეს აზრი. ღვთისო კანკალმა აიტანა.

— ოჰ, ღმერთმა ნუ ჰქნას.

გაფითრებით წაიჩურჩულა და თან პირჯვარი გადიწერა, რომ ასეთი აზრები აღარ მოსვლოდა. მაგრამ სულის ალმუნი ამით არ დაშოშმინებია. ასე ეგონა, მელანოს ვილაცა მტაცებსო. შუა ღამე გატყდა, მაგრამ მას რულიც არ მიჰკარებია. და აი, ამ წამებაში უეცრივ გაბრუვდა. ერთ წერტილს მიაჩერდა, სადაც მთვარის სხივი ისარსავით დაჰსძგერებოდა. ასე მოეჩვენა, თითქოს მის წინ რაღაც უცნაური ზეწარი ჩამოეშვა. რა არის, რა ემართება? მაგრამ შეხეთ, ნიავმა დაჰქროლა და ნისლი გაიფანტა. თითქოს ზეწარიც აიხადა... უცნაურმა დეკორაციამ იჩინა თავი. იქ, შორს სადღაც, ლანდად გამოჰკრთა ქარხანა. მის გამჭვარტლულ სახურავზე ადამიანთა ძვლებმა იწყეს ამოცოცება. ჩონჩხთა. მთაზე უეცრივ ოქროს ტახტრევანი აიმართა. ამ დროს ჩონჩხნი ლანდებად იქცნენ და ქარხნის ყოველ კუთხიდან იწყეს კრთომა. აგერ ერთი, ეს მეორე, ასი, ათასი... უჰ, უჰ... სად მოსთვლის... მოჰფრენენ... მზეს აბნელებენ... ყველანი გამჭვარტლულან... მუშტები დაუკუმშიათ... სახე დაპრანჭულნი ჰაერს სწამლავენ... სტირიან კიდეც... ზოგს ცრემლები მოშთიბიათ და დასისხლიანებულს თვალებით უძრავად გაჰყურებენ სივრცის ბნელ უბეს. ქალებს თმა-კავი გაეშალათ .. მოჰქონდათ მანქანისგან დასახიჩრებული ხელები, მოწყვეტილი მკლავები, დაჩეჩქვილი ყბა... ქალწულნი ხოკვით მოიწევდნენ, მაგრამ ღონე მიხდილთ მუქარა სასოწარკვეთილებად გარდაჰქცეოდათ. მხოლოდ ეხლა შეამჩნია ღვთისომ ოქროს ტახტრევანზე იდუმალად გამობრწყინებული ურცხვად გაშიშვლებული ოქროს თმიანი დედაკაცი, რომელიც დალალებს ბროლის თითებით ისწორებდა და თან ვნების წყურვილით ძომხიბლველად იღიმებოდა. ღვთისო მთლად გადირია. მის დღეშიც სიზმრად არ ენახა მზგავსი ჯადოსანი. მერე ღიმილი! რა მეუფება გამოჰკრთოდა მის ყოველს ნაკვთში! ეს იყო მისი ძლიერების კვერთხი. უდარდელად, მომცინარე თვალებით გადაჰყურებდა ლანდთა ლაშქარს, თითქოს ეუბნება:

— ვერ გაიმარჯვებთ!..

ლანდთა ლაშქარი მატულობდა. ყველანი მისკენ მოიწევდნენ, მუშტს უღერებდნენ. დაღებულს პირში აშკარად შეამჩნევდით ნაწყვეტად აღმომხდარს ანათემას.

მაგრამ დედოფალს მათთვის არ ეცალა, თან ნაწნავებს იშლიდა და თან ვნებიან ხმით კისკისებდა, თითქოს ღრმადაა დარწმუნებული, რომ ეს შურისმაძიებელნი მეორე წუთს დაემხობოდნენ და ქებათა-ქებას უგალობდნენ. მართლაც, წუთსაც არ გაევლო, ლანდებმა დაიწყეს, გაბოროტებული სახე მადლობის იერით გადაეკრათ:

— ძირს დაემხეთ, თაყვანი ეცით!..

გაისმა მათ შორის და, მცირეოდენი სამადლობელის გარდახდის შემდეგ, მოპოდიშებით შემოეფანტნენ ტახტრევანსა და კვლავ ქარხნის გამჭვარტლულ სახურავს იქით ჩაიმალნენ.

ღვთისოს გაათრთოლა. თვალები მოიფშვნიტა. ნახულის ანგარიშსა სწევდა. გაიხსენა აწმყო თავის მდგომარეობა და შიშის ჟრუანტელმა დაუარა: მან იცნო ისიც... ის... ეს ბაბილონელი ოქროს თმიანი დედოფალი.

— ჩვენი ცხოვრება... ჩვენი ცხოვრება...

წაილუღლუღა ღვთისომ და კვლავ თვალ მიჩერებით მიაშტერდა მთვარის ნარნარად შემოჭრილ შუქს.

X

ციხიდან განთავისუფლებამ ბევრი ვერაფერი შეჰმატა: ღვთისოს ოჯახი მართლა ცხენის ყელზე შეგდებული დაჰხვდა. კეთილ მეზობლებს, მართალია, ეზრუნათ, მაგრამ ზრუნვა მათი მეტად განსაზღვრულიყო, რადგანაც თვითონაც გაჭირვებულები იყვნენ. მელანოს მოსარეცხეობა ეკისრნა. ცოტა აქეთ, ცოტა იქით და როგორც იყო მოთმინებით გაეჩანჩალებინა, ვიდრე ღვთისოც წამოეშველებოდა. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ღვთისოს ასე ადვილად აღარ შეეძლო სამუშაოს შოვნა. როგორც „ბუნტოვშჩიკს“ ყველა მექარხნე კარს უკეტავდა. დარჩენოდა ერთი გზა, სხვა ქალაქში გადასულიყო, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო ფული და ეს კი მას არ მოეპოვებოდა, რომ ვალიც გაესტუმრებინა და საგზაოდაც ჰკმარიყო.

მაგრამ აი, ღვთისოს თითქოს ეშველა. სოფლიდან მებატონე ოთარიშვილმა მოაგონა. იგი იაპონიის ომში გაეწვიათ. ომის თავიდან მოცილება კი იმ დროს ადვილად შეიძლებოდა, თუ კი მოადგილეს იშოვნიდა. ღვთისო კი ერთი საუკეთესო კანდიდატი იყო. სულ რაღაც თხუთმეტიოდე თუმანში დასთანხმდა ომში წასვლას. ღვთისოსთვის ეს ფული თითქმის ზღვა იყო. ვალი გაისტუმრა, დანარჩენი მელანოს გადასცა.

— აი, მელანო, ღმერთი მართალ კაცს არ დაჰღუპავს. ეს ფული დაჰხარჯე და მანამ ხომ მეც მოვალ..,

მელანოს კინაღამ გული წაუვიდა, მაგრამ ღვთისომ გული გაუკეთა, შინ და გარედ კიდევ სულ იაპონელთა დაცინვა ესმოდა, ქუდებით სულ კუდით ქვას ვასროლინებთ ამ ყოყლოჩანა კაცუნებსაო. იმანაც გული მოიცა, რომ ღვთისო მალე, ძალიან მალე დაუბრუნდებოდა.

მაგრამ სინამდვილეში ეს არც ისე ადვილი საქმე გამოდგა, როგორც ეგონა ღვთისოს. ჯერ მზადებამ გააჭირვა საქმე, შემდეგ ხანგრძლივმა სიარულმა, როდის, როდის ეღირსათ ბრძოლის ასპარეზზე მისვლა. ჯუჯა იაპონელებს მის მისვლამდე ბევრი ომი გადაეხადნათ და ძალიანაც გაეჭირვებინათ საქმე რუსის მხედრობისთვის. კოპები შეეკრა. ყოველისფერის ხალისი დაეკარგა, როდესაც დაფეთებულ რაზმში ამოჰყო თავი მათმა როტამ. მთელი ოთხი დღის განმავლობაში ერთი წუთიც არ დაუსვენია. თვითვე სცხვენოდა თავის თავის, რომ ღონემ უსუსტა, ლაჩრობაზე დაადებინა თავი და გაქცევაზე აფიქრებინა! მაგრამ სად წავიდოდა? როგორც პირუტყვი

ეყენებინათ რუსებს. მისი სათოფურები, ბლინდაჟი მხოლოდ რუსების პოზიციების საწინააღმდეგოდ იყო მომართული. აგებულობით მეტად მშვენივრად არის ნაშენი, ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვით და მისი გამოყენებაც მხოლოდ და მხოლოდ მტერს შეეძლო და არა რუსებს. ამათ წყალობით გერმანელებს შეეძლოთ სრულიად შეუმჩნევლად მოჰპარვიყვნენ და რუსთა ჯარების ფრონტს დასცემოდნენ გასარღვევად. (რ. ვ.)

**ივანოვო-ვოზნესენსკის ამბების გამო.**

სოციალ-დემოკრატების ფრაქციის მინდობილობით დეპუტატი ი. ნ. ტულიაკოვი ივანოვო-ვოზნესენსკში იყო იმ საქმის გამოსარკვევად, რომელიც იქ მოხდა და რის გამოც სათათბიროში შეკითხვა შეიტანეს.

როგორც დეპუტატის საბუთებიდან სჩანს იმ მოვლენის გამო, რისთვისაც სათათბიროში საკითხი აღძრეს, მოკლული ყოფილა 40 მუშა ხოლო დაჭრილი 55 მუშა. (რ ს.)

**ლონდონის ირგვლივ**

ინგლისელი კორესპონდენტი გერმანოფილურ გაზეთს „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგს“ ატყობინებს, ინგლისელებს შეუძლებლად აღარ მიაჩნიათ, რომ გერმანელები ინგლისში ჯარს გადასხამენ და ამიტომ ლონდონის ირგვლივ თხრილებს აკეთებენ და საველე სიმაგრეებს აშენებენო. ასეთსავე სიმაგრეებს ამზადებენ სხვა ნაპირებზე, სადაც კი შესაძლებელია გერმანელებისგან ჯარის გადასხმა. ამასთანავე ერთად ინგლისელებმა ზღვაზე შესამჩნევი ზომები მიიღეს. მეზღვაურთა რიცხვი გემებზე ერთიორად გაამრავლეს.

## ერთი აზრი თანამედროვე ომის შესახებ

თანამედროვე ომის მორალ ღირებულებას რომ ვითვალისწინებ, ვერაფერს ვპოულობ უფრო დადებითს, ვიდრე ეროვნებათა განთავისუფლების იდეაა, ესე იგი, ის იდეა, რომელიც ამ ომმა ბრძოლის ლოზუნგად წამოაყენა პირველ დღიდანვე. ეროვნებათა განთავისუფლება! მშვენიერი იდეაა. მაშ, ბოლო მოეღება მსოფლიო პროგრესისათვის ადამიანთა უსაჭირო ტანჯვას, მაშ ბოლო მოეღება იმ ტლანქ ძალმომრეობას, რომელსაც ძლიერი ეროვნება იჩენდა უფრო სუსტისადმი. მაშ ყოველ ადამიანს ამიერიდან შეეძლება იმ ენაზედ იაზროვნოს, განვითარდეს, და გამოხატოს თავის სულის საიდუმლო ხმა, რომელიც აკვანში მწოლიარეს დედის ნანინას ხმაზედ ყურში ჩაწვდენია? მაშ მთელი კაცობრიობა ამიერიდან გარდაიქმნება ეროვნებათა კავშირად, რომლებიც არა ზარბაზნის და მათრახის ქვეშ შეერთდებიან, არამედ მშვიდობიან თანამშრომლობის ინტერესების მეოხებით. ეს ხომ ის ოცნებაა, რომელსაც ესასოებოდენ კაცობრიობის საუკეთესო შვილნი. განა სიყვარულს არ სთესვიდენ ისინი, განა მტრობასა და მძულვარებას არ წყევიდენ ისინი, როგორც დასაბამს განხეთქილებისას და კაცობრიობის რეგრესისას?

ამ ფხიზელ საუკუნეში თავისთავის მოტყუილება, რასაკვირველია, შეუწყნარებელია. გულუბრყვილობა იქნება ფიქრი იმაზედ რომ ამ ომის შემდეგ მოისპობა ქიშპი და სიმწვავე არა თუ ძლიერ და სუსტ ეროვნებათა შორის, არამედ ერთნაირ ძალისა და მდგომარეობის ერებს შორისაც. ინგლისელები ისევ ისე შეაფერხებენ ინდიელების თავისუფალ განვითარებას, ფრანგები ისევ ისე შეავიწროებენ ალჟირელებს, არც ავსტრიელები დაინდობენ სელოვენცებს და სხვა და სხვა.

ქვეყნად ვერ გამეფდება აბსოლუტური მშვიდობიანობა, ომის მკაცრი აჩრდილი არ გაჰქრება. დამოუკიდებელ ეროვნებათა საერთაშორისო ურთიერთობიდან.

ბევრი დაიღვრება სისხლიც და შეწირულ მსხვერპლზე ბევრი ცრემლი დაიფრქვევა, ვიდრე ომი საბოლოოდ განიდევნებოდეს კაცობრიობის წიაღიდან.

ყველა ეს სახეში უნდა გვქონდეს, მაგრამ ამის და მიხედვით არ შეიძლება არ ვაღიაროთ ის უცილობელი ჭეშმარიტება, რომ კაცობრიობამ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ საერთაშორისო მშვიდობიანობის იდეისაკენ, „მარადი ზავისაკენ“, კანტის ტერმინოლოგიით. დღემდე ეროვნების უფლებას თვით-გარკვევისას ისეთი ძალა არა ჰქონია, რომ ნიღაბად ჩამოფარებოდა სახელმწიფოთა შეიარაღებულ შეტაკებას.

მართალია, ბევრი ომი გადაუხდია კაცობრიობას ეროვნულ თავისუფლების გულისთვის. განა ცოტა უომნია ჰოლანდიასა და ბელგიას დამოუკიდებლობისათვის, განა საბერძნეთს არ უომნია თავის დამოუკიდებლობის აღსადგენად, განა ცოტა სისხლი დაღვარა იტალიამ, ვიდრე მიაღწევდა თავის დაფლეთილი სხეულის გამთელებას და გაცოცხლებას?

პოლონეთის ტრაღედია და მრავალ ტანჯული საქართველო სხვას რას მოწმობს, თუ არ თავგანწირულ ბრძოლას თვითარსებობის შესანარჩუნებლად?

მაგრამ ყველა ამ ომს ეგოისტური ბეჭედი აზის. ყოველი შელახული და დამორჩილებული ერი იბრძოდა **თავისთვის**, სრულიად გასაგებ მოტივების ძალით· სხვა ერის თვალში ისე ცოტას ნიშნავდა საკითხი უცხო ეროვნების თავისუფლებისა, რომ ამაზედ ისინი არასოდეს არ ზრუნავდენ, ხოლო თუ ოდესმე მხარი დაუჭერიათ თავის ინდივიდურობის დასაცავად მებრძოლ ერისთვის, ესეც მარტოდ-მარტო პირადი ანგარიშის მიხედვით ჩაუდენიათ.

აი თუ რატომაც შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ომი გარდა ამ მიმდინარე ომისა, არ წარმოებულა ეროვნებათა ძმობის, განურჩევლად ყოველი ეროვნების გმობის ლოზუნგის დროშის ქვეშ. დიახაც შესაძლებელია, ეს ლოზუნგი არ უპასუხებდეს ამ ომის ფარულ ზრახვებს. ამაზედ ლაპარაკი მეტია. თითქმის ყოველთვის, მშვენიერი იდეა მალავდა უმგვანო ლტოლვილებას.

მაგრამ საქმე ეს კი არაა. ის ფაქტი რომ ისეთი ძლიერი სახელმწიფო, როგორიცაა საფრანგეთი და ინგლისი, თუნდაც ვსთქვათ ეგოისტურის მიზნით, საჭიროდ დაინახეს თავიანთი მოქმედება გაეხვიათ „მარადი ზავის“ ფორმულაში, ისეთი ბრძოლის ფორმულაში, რომელსაც მიზნად ჰქონდეს მთელი კაცობრიობის უშფოთველი და უსისხლო ბედნიერება, მარტო ეს ფაქტი, ვიმეორებ, უტყუარი საბუთია იმისა რომ კაცობრიობის შეგნებაში დიდი ცვლილება მოხდა. ასე რომ ეროვნებათა ერთობისა და ძმობის იდეა ამიერიდან მარტო ოცნება როდია რამოდენიმე უტოპისტისა და ფანტაზიორისა, არამედ იგი რეალი ძალაა, შეიძლება ჯერ-კიდევ არა-დიდი, მაგრამ მაინც ძალა. სჩანს კაცობრიობის კარიფეებიდან ძირს ჩამოსულა და ხალხთა მასაში დაუდვია ბინა დემოკრატიულ იდეას, რომ ყოველ ეროვნებას მინიჭებული ჰქონდეს თავისუფლება შინაგანი განვითარებისა. ხოლო ეს კი დიდი კულტურული შეძენილობაა, რომლის შედეგები აქიდანაც გასარჩევია. იცით-კი თუ რას ნიშნავს იდეა, ხალხის მასაში გადასული? ეს ფორმაა მომავალი საზოგადოებისა.

ადამიანთა თანასწორობის იდეა, რომელიც მიმართული იყო ინდივიდურ ეგოიზმის წინააღმდეგ, გადვიდა თუ არა მასაში, ისეთ მომქმედ ძალად გადაიქცა რომ მოახდინა დიდი რევოლიუცია, რომელმაც დაამხო ძველი ეგოისტური წესწყობილება და დაამყარა თანასწორობა ერთი ეროვნების ფარგალში...

ინდივიდუალისტურ და წოდებრივ პოზიციიდან ეგოიზმი ააფრინეს და ჩააბუდეს ეროვნეის ცნებაში. აქ ამ ახალ ადგილზე ეგოიზმი მკვიდრად განმტკიცდა. ყველაზედ უფრო თავისუფალ ქვეყნებმა ყოვლად ტლანქი დესპოტიზმი გამოაჩინეს (უცხო ტომელებისადმი), და დღესაც ამავე დესპოტიზმს იჩენენ. გოტენტოტური მორალი, რომელიც დაიგმო კაცთა პირად ურთიერთობაში, ურცხვად გამოაჩენს ხოლმე თავის საზიზღარს სახეს, ყოველთვის, როგორც-კი სიტყვა ჩამოვარდება ეროვნებათა შესახებ.

მაგრამ დაუდგა დასასრული ეროვნულ ეგოიზმსაც. ადამიანთა თანასწორობ ის იდეა ეროვნებათა თანასწორობის იდეად გარდიქმნა და ხალხის მასაში გაჟონა. გახდა თუ არა ხალხის მასის კუთვნილებად, ამ იდეამ, რომელიც მოასწავებს დემოკრატიულ პრინციპების გამარჯვებას, ისეთი ენარგია მოიპოვა, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანიც იძულებულ ხდებიან ანგარიში გაუწიონ.

ეს ენერგია დღითი დღე იზრდება და მატულობს, მისი ძლევა-მოსილი ინტენსიურობა მალე შემუსრავს ადამიანის აგოიზმის უკანასკნელ ნავთ-საყუდარს, იმ ეგოიზმისა, რომელიც გამოიხატება უცხო ეროვნებისადმი ზიზღსა და მძულვარებაში.

**ს. დარიანი.**

## ახალი ამბავი

**დეპეშა მეფის მოადგილისა.** თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო კავკასიაში მეფის მოადგილის, დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოოზისაგან: „სულითა და გულით ვმადლობ თბილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობას გამოთქმულ გრძნობათა და მოსალმებისათვის. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ღვთის შეწევნით [illegible] სარგებლობას მიუტანს კავკასიის ყველა ხალხს და იმაშიაც, რომ უფრო [illegible] კავკასიის მხედრობას ახალ გამარჯვებისათვის“.

ეს დეპეშა პასუხია იმ დეპეშისა, რომელიც თავ. ჩოლოყაშვილმა გაუგზავნა მისს უმაღლესობას, დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს:

„თბილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობა, დიდ სიხარულს განიცდის-რა იმის გამო, რომ თქვენი იმპერატორებით უმაღლესობა მიწვეულია კავკასიაში მეფის მოადგილის თანამდებობაზე, რაშიაც იხატება კავკასიის ხალხთადმი მეფის კეთილი სურვილები, გულმხურვალე სალამს უძღვნის თქვენს თქვენს იმპერატორებითი უმაღლესობას. ჩვენი კავკასიის მამაცი ჯარი თქვენი ხელმძღვანელობით კვლავ დიდ სახელს მოიხვეჭს მტერზე გამარჯვებით, ხოლო კავკასიის ერთა მოქალაქობრივი ცხოვრება თქვენში ჰპოვებს ბრძენ ხელმძღვანელს“.

**უმაღლესი დეპეშა.** თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს შემდეგი უმაღლესი დეპეშა მოუვიდა ხელმწიფე-იმპერატორისაგან:

„გულით ვმადლობ თბილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობას და ლოცვისა და უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამოთქმისათვის“. „ნიკოლოზი“.

ეს დეპეშა პასუხი არის ქვემორე დეპეშისა, რომელიც თავ ჩოლოყაშვილმა გაუგზავნა მისს იმპერატორებით უდიდებულესობას: „თბილისის გუბერნიის ქართველი თავად-აზნაურობა, სთხოვს-რა უზენაესს მიანიჭოს მტერზე გამარჯვება მამაც რუსეთის მხედრობას, რომელსაც წინ მიუძღვის მისი გვირგვინოსანი სარდალი, განართხობს თქვენი იმპერატორებითი უდიდებულესობის ფერხთა ქვეშე თავისს უქვეშევრდომილეს გრძნობას და უსაზღვრო სიყვარულს.

ამ დიდ განცდის დღეებში ქართველი თავად-აზნაურობა და მთელი ქართველი ერი ბედნიერებად სთვლიან თავიანთ თავს, რომ ჰხედავენ მეფის სიყვარულით აღსავსე მზრუნველობას კავკასიის ხალხთა მიმართ, რაიცა გამოიხატება იმაში, რომ კავკასიაში მეფის მოადგილედ მოწვეულ იქმნა უავგუსტოესი გმირი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნაკოლოზის ძე“.

**ქალაქის გამგეობაში.** დღეიდან მუშაობა ნიშუადღევის სამ საათამდე იქნება.

---

საქონელი, ისე მისდევდა ქარავანს, შავად გაბმულ სასურსათო საბარგულებს, რომელნიც ქარიშხალისგან აწეწილ წეროთა გუნდსავით მოსდებოდნენ ველს და უთავბოლოდ მიმოდიოდნენ ერთი ყიჟინა-გინებით. ანაზდეულად გათხრილ სანგრებში სხვებთან ერთად ჯდებოდა ღვთისო, თუმცა არ იცოდა რად და რისთვის, ან რა უნდა ეკეთებინა. აგერ კვირამ გასტანა. მაგრამ მას მტერი არ უნახავს, ვინ იყო ეს „აპონია“, რა ხალხი. უკანიდან მათი ბატარეებიდან ზარბაზანთა ხოროთუმების გრიალი ჟრუანტელს ჰგვრიდა. იმასაც ჰხედავდა, რომ საიდანღაც, შორს, უცნაურ მხარიდან ზარბაზნებითვე უპასუხებდნენ, შრაპნელები ცოცხალ არსებათ დაემსგავსნენ, თითქოს ხელის ფათურით დაეძებდნენ ადამიანებს, უმოწყალოდ ამახინჯებდნენ, ლუკმა-ლუკმად ჰფლეთდნენ და სისხლში ზილავდნენ დედამიწას. მაგრამ მაინც და მაინც ვინ იყო მტერი, საიდან ისროდა, ამას კი ვერ მიმხვდარიყო. ტყვიები კი ისე ზუზუნებდნენ, თითქოს ბროტი სულნი ქარის ფრთებზე შემსხდარან და მომაკვდავთა შორის სიკვდილის ჩირაღდნით მიმოფრინავენო. ეხლა კი აზრი შეეცვალა „აპონელებზე“. გულ-ხელი დაეკრიბა. გაფითრებული მხოლოდ მაშინ თუ წამოიჭრებოდა, როდესაც მის გვერდით ამხანაგ შეჰღრიალებდა და გულ-გაგმირული ეცემოცდა.

დღე ღამეს მოსწყვდა, ღამე დღეს, ახალ-ახალი დაჭრილ-დახოცილნი გადაჰქონდ-გადმოჰქონდათ, მოდიოდნენ მათი ნაცვალნი, იცვლიდნენ თხრილებს,, გადირბენდნენ ახალს ველს, ახალ საფარს მაგრამ მტერი კი მაინც არა სჩანდა, თუმცა წვიმასავით მათი ტყვია არ შეწყვეტილა.

აი უბრძანეს წამოშლა. იერიშზე მივალთო, გააგებინეს ღვთისოს. ბნელოდა. ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანეს. მაგრამ ციხე-კოშკი, ან მტრის ლაშქარი მაინც არ სჩანდა. სად მივლენ, ვისთან მიდიან? ან შეეჯახებიან პირის-პირ კუსპარა ქაჯ მტერს? ეს არ იცოდა ღვთისომ, როგორც არ იცოდნენ ნახევრად შეშლილმა მისმა ამხანაგებმა. ყველას სახეზე გაფითრებული შიშის ბეჭედი დაჰკვროდათ. განთიადის მოლოდინში იყვნენ, იქნებ მზიურ მაინც რამე დავინახოთო. აი, გათენდა კიდეთ. ცაზე ფერმკრთალი მზე ამოსცურდა. ჩვეულებრივ მხიარული სიცილის ნაცვლად დაღვრემილა. სჩანს, იმასაც აწუხებს არაადამიანური გლეჯა-ფლეთის სურათის ნახვით. აი, დაჰკრეს ყიჟინა და იერიშით გაექანენ. ნახვენ მტერს? „ურა-ა-ა!“ ჰყვირიან ირგვლივ და გაოგნებულნი მირბიან სადღაც შორ წერტილად გამოჩენილ გორაკისაკენ. ღვთისოც მისდევს. ზარბაზანთა ღრიალი არყევდა ათასწელთა მოდარაჯე ჩინელთა საფლავების ძეგლებს. მტერი მაინც არა სჩანს, ყოველ შემთხვევაში ღვთისოს არავინ არ დაუნახია. მათგან გამოსროლილი ზარბაზნის ტყვიები კი მოჰქრიან, აქა-იქ ქარბუქის კორიანტელს აყენებე, თითქოს უხარიანთ, ცოცხლები კიდევ ვიპოვეთო და მათი დაფლეთა შეგვიძლიანო. მრისხანე მათი მხიარული ჰექა-ქუხილი ცასა და მიწას შეახლართავდა კორიანტელით.

მალე მათმა პოლკმა კიდევ სადღაც მოუხვია, ღვთისოს ეხლა ის კი არ აწუხებდა, რო მტერი ენახა და კბილებით დაეფლითა, არა, ეხლა მისი საფიქრებელი ის იყო, თუ ტყვია რომელი მხრიდან გამოტყვრებოდა, რომ მისთვის მოეღო ბოლო: მართლაც, სასწაული იყო. ტყვიის წვიმაში ისე მიდიოდა, თითქოს უვნებელი პერანგი სცმოდეს.

აი, გრიალმა უმატა. ცა ჩამობნელდა. ღვთისომ საშინელი ტკივილი იგრძნო. „ვაიმე ცოლშვილო!“ შეჰღრიალა და წაიჩოქა. მუხლში დაიჭრა.

— ბიჭო, ქართველი ხარ?—შეესმა ამ დროს ზევიდან ხმა. ღვთისომ რო აიხედა, შენიშნა ქართველი ოფიცერი, რომელიც მის დანახვაზე ინსტიქტიურად გამოიქცა მოსაშველებლად. მზრუნველობით დაუწყო ფეხის შეხვევა. ღვთისო სიხარულის ცრემლით აივსო. მშობლიურმა ხმამ ააცახცახა. აფიცერს ხელზე მისწვდა საკოცნელად, მაგრამ ხელის გაწოდებაც ვერ მოასწრო მისკენ დახრილმა მისმა კეთილის მყოფელმა, რომ მეორე ცელქმა ტყვიან საფეთქელი გაუგმირა და ღვთისოს წინ უსულოდ გაშალა. ღვთისომ შეჰღრიალა. აფიცერმა კონვულსიური თრთოლვის დროს უსიტყვოდ ანიშნა, უბეში ფული მიძევსო. გაუხსნა. კონვერტი დაბეჭდილი დახვდა. მისამართი ცოლზე იყო.

— ვფიცავ, ვფიცავ... თუ კი დამცალდა... თუ კი...

ღვთისოს ფიცი არ დაეთავებინა, რომ გონი წაერთო და უგრძნობელთა-შორის გაიშხლართა.

### XI

როგორ, ვინ, ან სად წაიყვანეს ღვთისო, ეს არ უწყოდა. თვალი საავამყოფოში გამოახილა. ექიმი დასტრიალებდა. მას მეორე ჭრილობაც მიეღო, ფერდში, შრაპნელს ნეკნები შეემტვრია.

ორი თვის შემდეგ დაუბრუნდა ოჯახს, მართალია, სამშობლო ჰაერმა მალე გაამაგრა, მაგრამ სისხლით დაცლილი ღვთისო უკვე ძველი ღვთისო აღარ იყო, როდესაც ძლიერ ძარღვებზედ იყურებოდა და მთელს ქვეყანას მხარბეჭით ატირებდა. მელანომ ძლივს იცნო. მას იმედი გადასწყვეტოდა კიდეც. ბევრი რამ ცვლილება მომხდარიყო მის ოჯახში. სადღაც, მიგდებულ სარდაფში დაბინავებულიყო, ბავშვები გაძვალტყავებულიყვნენ. თვით ცქრიალაც მათხოვარას ჰგავდა, აძონძილი.

ცვლილება მომხდარიყო თვით ამხანაგებში და საზოგადოდ ცხოვრებაში. რევოლიუციის ტალღები ჰბორგავდა. მისი ამხანაგები თამამად იკრიბებოდნენ მოედნებზე და ერთი ამბავი გაჰქონდათ: ცხადად, ნათლივ ყველას გასაგონად ამბობდნენ იმას, რის წარმოთქმაც ფარულ კრებებზეც კი ეკრძალებოდნენ. მაგრამ ღვთისო მათ აღარ გაჰრევია. მან ქარხანას მიაშურა. მართალია, ძველი ადგილი კი ვეღარ დაიბრუნა, გაცილებით ნაკლებ ხელფასში დაექირავა მექარხნეს, მაგრამ ესეც დიდი ღვთის წყალობა იყო მისთვის. ან რას იზავდა. ოჯახი გაჭირვებაში იყო. სიცოცხლე კი სასურველია. მისდამი წყურვილი ამ ხანმოკლე ფიზიოლოგიურ არსებობის დასაცველად ყოველ არსსა აქვს მომადლებული დაწყებული მღილ-მცენარიდან და გათავებული ქმნილებათა გვირგვინით—ადამიანით. წყურვილი იგი ისეთივე ბუნებრივია, როგორც სიკვდილის შიში, რომელსაც დღე და ღამ ჩვენი ალლო ასე ყურმახვილადა სდარაჯობს. ღვთისოსაც ამ წყურვილს იქით სხვა იდეალი არ ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოჯახს, რომელიც მის სულის განუყოფელს ნაწილს შეადგენდა, როგორც მის საკუთარ თავის უაღრესი შემეცნება. შრომა, თავგანწირული შრომა, თუნდა უშინაარსო, მანქანისებური, შრომა, რაიც სიცოცხლის ამ რუდიმენტალ თავდაცვის მიზანს შეეწირა, დღითი დღე ჰკლავდა მასში ადამიანს, უხშობდა გონებრივ მხედველობის იერს, სადაც სიყრმის დროს ათასი ფანტასტიური ლანდები დაუკროოდნენ და სიკეკლუცის ფერხულში საცეკვაოდ მოუწოდებდნენ. მას თვით ის ოქროსთმიანი დედოფალიც კი აღარ მოსჩვენებია, რომელმაც ცივი, ყინულოვანი და ურცხვი ვნებანი სიშიშვლით მწარე ტკივილებით აგრძნობინა. განსაკუთრებით იმ დღიდან, რაც მან ხელახლად სამუშაო იშოვნა, იგი ამხანაგებს ახლოსაც არ ეკარებოდა. როგორც მონა, როგორც უღელში შებმული ხარი, როგორც ჯაჭვზე მიკრული ნადირი ოჯახისა და ქარხნის შუა გზაზე დატრიალებდა. იგი დაცინვით მიეგება ამხანაგთა ჩორჩ[illegible]ილს. ღვთისომ მათი სიტყვები რო მოისმინა, სიცილად არ ეყო. მათი ძახილი სოციალიზმისკენ ნაცრისფერ ფანტომთა ცეკვა იყო. მათი იდეალი მისთვის იგივე დახავსებული რწმენა იყო, რომელსაც ქრისტიანული აღმოსავლეთი და დასავლეთი საშუალო საუკუნოებში განსჯისა და აღდგომის ოცნებაში აყვავილებდნენ. მიწიერისთვის მოწოდება ამ ქვეყნიურ ბედნიერების მოსასპობლად თვით მებრძოლნი თითქოს მიწას შორდებოდნენ, ცაში დაფრენდნენ უნიადაგოდ. ღვთისოს ერთი რამ სწამდა: „ვერ გავიმარჯვებთ!“ ეს ნაანდერძევი ოქროსთმიანი დედოფლისაგან ღრმად შეჭრილიყო მის გონებაში. რა არის თავისუფლება, თუ კი მის მისაღწევად მეწამულ ზღვის გავლა იქნებოდა საჭირო, თუ კი დაჰკარგავს ქვეყნიურს სიტკბოებას და ეს სიტკბო ხომ მისი ოჯახი იყო, მისი საყვარელი ცოლშვილი, რომელსაც ღვთისოს მაგიერობას ვერც ერთი სოციალიზმის ბაირახტარი ვერ გაუწევდა! რა არის სოციალიზმი? რომლის გამოძახილი ამ ქვეყნის არც ერთს არსს არ შეუსმენია? მაშ რა საჭიროა თავგანწირულების ცეცხლი? რა არის საიდეალო? რა არის აღთქმული ქვეყანა? ვის ეძახიან ღმერთს? რას წარმოადგენს ბრბო, კაცობრიობა, ცა... არა, არ არსებობს ცეცხლი გარდა მდაბალი ოჯახური კერისა! სხვა ჩვენ დაგვწვავს, მისი ალი ფრთებს შეგვიტრუსავს, ძირს დაგვსვამს; უმჯობესია დავლუნოთ თავი და მდუმარეთ შევებათ ცხოვრების შავბნელ კალოში, ...

სოციალიზმი ზღაპარია, მომხიბვლელი ზღაპარი, ფერიებისგან მოგონილი, რომ მთვარის შუქზე მოცეკვე დობილები გაართონ. ამიტომ იყო, რომ ღვთისოსთვის ოჯახის იქით არა არსებობდა რა არავითარი წმინდა, არავითარი აღთქმული ქვეყანა.

(შემდეგი იქნება)

**დ. კახრაძე.**

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, კრება ექნება თბილისის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადობის გამგეობას. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) ლექტორთა კომისია და ლექტორების ბიურო; 2) სექციების მიერ სკოლების მოწყობა და საკითხი მასწავლებლების შესახებ; 3) ამორჩევა საზოგადოების ხაზინადრისა; 4) საკითხი საქმის მწარმოებელ-მოანგარიშეს შესახებ; 5) საკითხი საზოგადო კრების მოწვევის შესახებ სარევიზიო კომისიის ასარჩევად.

◆ **შეწირულება.** ჯაბარ გარან-ოღლიმ შესწირა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ქართველ მაჰმადიანთა სასარგებლოდ 50 მანეთი, ხოლო გიორგი და ივანე ყაზბეგებმა შესწირეს იმავე საზოგადოებას 100 მან.

◆ **ხოლერა.** 29 და 30 აგვისტოს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 10 და ხოლერის ნიშნეაით 10 კაცი. გარდაიცვალა 12: გუშინ ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 112 და ხოლერის ნიშნებით 13 კაცი. ხოლერიანთა შორის 35 კაცი სამხედრო წოდებისანი არიან, ხოლო ხოლერის ნიშნებიანთა შორის 3 კაცია სამხედრო წოდებისა.

◆ **დაჭრილი და ავადმყოფი ჯარის კაცნი.** თბილიში ჩამოიყვანეს და ლაზარეთებში მოათავსეს შემდეგი დაჭრილი და ავადმყოფი ქართველი ჯარისკაცნი: გაბუნია ნესტორ ათანასეს ძე, ჩიჩუა ბიქტორ ისიდორის ძე, ბექაური პავლე ნიკოლოზის ძე, ასათიანი ნიკო ფირანას ძე, ლელაძე ბიქტორ პავლეს ძე, თედაშვილი ზაქრო გიგოს ძე, ბალალშვილი ანდრო გიორგის ძე, ირემაშვილი ვასილი დათას ძე, ხანიშვილი ევგენი სიმონის ძე, სვანიძე გიორგი კოსტანტინეს ძე, პარხამაშვილი გიორგი, ჭანუყვაძე სერგო სიმონის ძე, მიქაბერიძე სერაფიონ გლახუნის ძე, ხარჩილაშვილი დიმიტრი მერაბის ძე, ჯიქია ლაზარე კაც., საბაშვილი მიხაკო სოლომონის ძე (პრაპორშიკი), მხეიძე ალექსანდრე ელიზბარის ძე, რუხაძე მიხაკო იაკობის ძე, ვერვეაშვი პეტრე კიტ., ბუკია კალისტრატე დუტუს ძე, აბულაძე ზაქრო ლოსან., ლუარსამიძე ილიკო გიორ., მერაბლიშვილი ვასილ ისაკის ძე, პეტელური მიხაკო ვასილის ძე, აბაშიძე გალაქტიონ ნიკოლოზის ძე.

◆ **ჯარისკაცის გარდაცვალება.** 18 აგვისტოს სპარსეთში, კოტურის გზაზე, ხოლერით გარდაცვლილა ჯარისკაცი ლეონტი ვაფხაზე (ჭიათურელი), რომელიც დაუსაფლავებიათ ს. ირეხოლში.

◆ **შეკითხვა აჭარლების შესახებ.** როგორც გვატყობინებენ, ს.-დ. ფრაქციას დიდი ხანია, შეკითხვა წარუდგენია სახელმწიფო სათათბიროში აჭარლების შესახებ, მაგრამ სათათბიროს პრეზიდიუმს შეკითხვა ჯერ არ წარმოუდგენია სათათბიროსათვის განსახილველად.

◆ **კრება.** დღეს, ნაშუადღევის 2 საათზე, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებულ წარმოდგენების გამმართველ ყველა სექციის წარმომადგენელთა კრება შესდგება. კრებამ უნდა განიხილოს ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თხოვნა იმის შესახებ, რომ მას კვირაში ორი დღე ჰქონდეს დათმობილი ქართულ წარმოდგენების გასამართად.

◆ **მომხმარებელი ამხანაგობა „შეერთება“.** დღეს, საღამოს შვიდ საათზე, „შრომის ბირჟაში“ (ვერის დაღმართი) ამხანაგობა „შეერთების“ წევრთა საზოგადო კრება უნდა შესდგეს. კრებამ უნდა აირჩიოს ამხანაგობის თავმჯდომარე, საქმის მწარმოებელი და ხაზინადარი.

---

**დ. ხონი.**

— კვირას, 23 აგვისტოს, გაიმართა, მხიარული საღამო“, ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩნენ.

— ადგილობრივ კლუბის დარბაზში დანიშნული კრება თეატრის შენობის აგების გამო.

— 23 აგვისტოს მოხდა ხონის მომხმარებელ ამხანაგობის „იმედის“ დამფუძნებელი კრება

— დრამატიულ გამგეობამ დაადგინა შემოსავლის 20 პროტესტი გადაახდევინონ ვინც სეზონის შემდეგ ან წარმოდგენას გამართავს და ან ლაქციას წაიკითხავს.

# ფრთხილად ბატონებო!

ამას წინად ამოვიკითხევით „სახალხო ფურცელში“, რომ აჭარაში სამისიონერო სამოღვაწეოდ გამგზავრებულა ვინმე ქართველი მღვდელი და მერე კიდევ ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“, წავიკითხევით, რომ თითონ ამ პატივცემულს მოძღვარს გამოუდვია თავი და გამგზავრებულა აჭარელთა მოსაქცევად.

სარწმუნოება მეტად სათუთი რამ არის და ამიტომ მეტის-მეტად ფრთხილად უნდა მოვეპყრად ხოლმე მას. სწორედ ამის გამოა, რომ ყოველ კულტურით აღჭურვილ და შეიარაღებულს ქვეყნებში დიდი ხანია სინიდისის თავისუფლებაა აღიარებული და ყველას უფლება აქვს ის სარწმუნოება აღიაროს, რომელიც მას მოსწონს და შეეფერება მის სულიერსა და ზნეობრივს განწყობილებას.

რასაკვირველია, თუ კულტურულ ქვეყნებში ასე უცქერიან სარწმუნოებას, მით უფრო საჭიროა ჩვენთვის, ქართველთათვის, ამის აღიარება, რადგანაც სარწმუნოების საკითხმა ბევრი მწარე შედეგები მოგვიტანა და ბევრი თანამოძმე ჩამოგვაშორა ისედაც მცირე ეროვნებას. ბევრის გამოკვლევას არ შეუდგები, შორს წარსულში მაგალითების ძებნით არ შევაწყენ მკითხველს. მაგალითად მოვიყვან საინგილოს, რომლის შავბედმა ყველას თვალწინ გაიარა.

წარსულ საუკუნის მესამოცე წლებში საინგილოში ისეთივე აღფრთოვანებული მდგომარეობა იყო საქართველოსადმი მიმართული, როგორსაც დღესა ვხედავთ აჭარაში და რომელიც გამოწვეული იყო შამილთან ომიანობის გამო. მაგრამ როგორ ვისარგებლეთ ჩვენ ამ მდგომარეობით? ჩვენ იმათ სამღვდელოება მივუსიეთ, მარტოოდენ სამღვდელოება, არც მეტი და არც ნაკლები. არც სკოლა, არც ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანება, არც წიგნი, არც თუ სხვა რამე არ შევიტანეთ ამ სრულიად განუვითარებელსა და შეუგნებელს ხალხში. და მერე იცით რა მოვიმკეთ, რა მწარე შედეგი მოგვცა ამ მოუფიქრებელმა შესევამ?

საინგილო, რომელიც მუდამ საქართველოსკენ იცქირებოდა, საინგილო, რომლის გულშიაც მთელის საუკუნოებით ლეკთა თარეშმა და აკლება-აწიოკებამ ქართველობა ვერ ამოშალა და ამოჰგლიჯა, სრულიად გადაბრუნდა და დანარჩენს საქართველოს არამც ზურგი შეაქცია, მტრულად ყურება დაუწყო, ერთის სიტყვით ყოველივე ერთობა მოსპო ქართველებთან, ამ თავისს მოძმეებთან, რომელთანაც ერთად იყო და ერთადა სწევდა ჭაპანსა მრავალი საუკუნოების განმავლობაში.

ამ გალაშქრების შემდეგ ხელში შეგვრჩა დღეს საინგილოდგან მხოლოდ ოთხი სოფელი, რომლებშიაც ქრისტიანობა დამკვიდრდა და მისი უდიდესი ნაწილი კი მეფე ერეკლის ენისელის სამოურაო სრულიად ხელიდგან წაგვივიდა. აი ამ ხელიდგან წასულს საინგილოში იმდენად გაძლიერდა მძულვარება შემდეგში ქართველებისადმი და ყოველივე იმისადმი რაც კი ქართველობას მოაგონებდათ, რომ ყოველივე საზღვარს გადავიდნენ. მრავალს სოფლებში პირდაპირი დადგენილება ჰქონდათ, რომ დედებს ამიერიდგან ქართული აღარ ესწავლებინათ ბავშვებისათვის, რათა სრულიად მოსპობილიყო ქართველობა საინგილოში. მაგრამ, რადგანაც პირველს ხანებში არსებითად შეუძლებელი იყო ამისი ცხოვრებაში განხორციელება, რადგანაც მრავალმა დედებმა ეხლაც კი არ იციან თათრული ენა, ეცნენ ნუხისა და ყაზახის მაზრებს და იქიდგან დაიწყეს თათრის ქალების თხოვნა. ბავშვებს კიდევ, რომლის დედებმაც არ იცოდნენ თათრული აბარებდნენ თათრის სოფლებში, რომ ჩქარა თათრული ესწავლათ და ქართული დაევიწყნათ. ამის გარდა მოსპეს ქართულს წმინდა ადგილებში სიარული, გასჩეხეს ვენახები და გაყიდეს ქვევრები, დაიწყეს თათრულად პურის ცხობა და სხვა და სხვა. ერთის სიტყვით ძვალით ხორცამდის მარტო გამუსულმანდნენ კი არა, გათათრდნენ, რაიც ყველაზე უფრო სამწუხაროა.

აი ეს მოვიმკევით საინგილოში. კარგად დაფიქრდით ბატონებო ამაზე და ნუღარ გაიმეორებთ ამასვე სხვაგანაც, თუ, რასაკვირველია, გრწამთ და გჯეჯათ ქართველთა გაერთიანების იდეა ეროვნულს ნიადაგზე.

ფრთხილად ბატონებო, ფრთხილად, ნუღარ გაიმეორებთ იმას, რაც ასე ძვირად დაგვიჯდა.

ედილი.

# სოფლის გასაჭირი

სრული ორი თვე გადის რაც ბუნების ულმობელმა სტიქიამ, თავის განმანადგურებელი ძალის წყალობით, ბევრნი სახლ-კარს მოკლებული ღია ცის ქვეშ დასტოვა. საჭირო იყო სასწრაფო დახმარება, რომ შერყეული ოჯახი ისევ აღდგენილიყო და ხალხს სული მოეთქვა. ავხმაურდით, ქვეყანა გავაყრუეთ, სიტყვების კორიანტელი დავაყენეთ, და საქმით კი არაფერი არ გაგვიკეთებია. წყალდიდობის დამღუპველი გავლენა კი თანდათან ნათელი ხდება. უსახლკაროთ დატოვებულნი, სამუდამოდ სტოვებენ ოჯახს, ეკარგებათ იმის იმედი რომ კვლავ გაიჩენენ კერას და სამათხოვროთ მიდიან. მე ხონში რამდენიმე ასეთ მათხოვარს შევხვდი და როდესაც შევეკითხე საიდან ხართ თქვა! მიპასუხეს სოფ. ზუბიდან გახლავართ, წყალმა გაგვყარა, სახლკარი წაგვართვა და ეს დღე მოგვასწროვო.

ვისთვის არ იყო ცხადი და ვინ არ იცოდა რომ წყალი დღეს თუ ხვალ ჩვენს სოფელს ამ საქმეს უზამდა. ვიცოდით, იცოდენ მაგრამ ჩვენ

არავითარი ღონისძიება არ მიგვიღია ამ უბედურების თავიდან ასაცილებლათ. ჩვენ გულზე ხელი დავიკრიფეთ, ვუცდიდით, იმედი გვქონდა

და

დღეს კი ვართ განა უზრუნველყოფილი მომავალში ამ უბედურების განშორებისაგან და განა მიღებულია რაიმე ზომები ასეთი რამ რომ მომავალში არ მოხდეს? ამ მხრით არაფერი არ გაკეთებულა და კვლავ შიშში უნდა ვიყოთ, კვლავ უნდა ველოდეთ ბუნების ულმობელ რისხვას.

საჭიროა ამ გარემოებასაც სათანადო ყურადღება მიექცეს, მოვნახოთ ჰიდროტეხნიკ-ინჟინრები, თუ არ გვსურთ სტიქიამ თავისი ბოროტი ჟინიანობა მერმისაც არ განიმეოროს.

მორიდებული.

### მეორე ხარისხის მოლაშქრეთა საყურადღებოდ.

ტელეგრამამ ახალ ამბად შეგვატყობინა მეორე ხარისხის მოლაშქრეთა ბედის შესახებ. ამაზე „რუს. ვედ.“-ი შემდეგ ცნობებს იძლევა: „... არსებითი ცვლილება, რაიც ახალი კანონის ძალით შეტანილ იქმნა სამხედრო ბეგრის წესრიგში, უმთავრესად ის გახლავთ, რომ საგრძნობლად მოისპო განსხვავება პირველ და მეორე ხარისხოვან მოლაშქრეთა შორის. წინად პირველ ხარისხის მოლაშქრეებს მოწოდებისთანავე გაჰგზავნიდნენ ჯართა შესავსებად, ეხლა იგივე ბედი ჰხვდებათ მეორე ხარისხის მოლაშქრეებსაც. ომის დროს ესენი ისეთსავე სამსახურს ეწევიან, როგორც მუდმივი ჯარები. რუსულ ახალ კანონს ამ შემთხვევაში არ შეაქვს ის განსხვავება, რასაც ეჩვევიან სხვა ქვეყნებში, რომ ასეთი ელემენტები ისევ შინ დაერჩინათ შინაურ ცხოვრების მოსაწესრიგებლად.

# დეპეშები

**სოფია,** 28 აგვისტო. იწვევენ მაკედონდრინის მოლაშქრეებს 20—45 წლამდე. ვინც უკანასკნელ ომის დროს მონაწილეობას იღებდა, მათ მოუწოდებენ 3 დღის განმავლობაში, ხოლო ვისაც არ უომნია, იმათ 45 დღეში. ბულგარეთის სააგენტო ამართლებს ხმებს, რომ მართლა დიდი დიპლომატიური ცვლილება მომხდარა ვენეციაში, ბუქარესტში და სტამბოლში.

**ლონდონი,** 27 აგვ. გუშინ საღამოს „ცეპელინები“ შესეია ინგლისს. ლონდონის რაიონში ჩამოჰყარეს ყუმბარები. დახოცილთა რიცხვი უდრის 86 კაცს.

**ვაშინგტონი,** 28 აგვ. ვილსონმა რამდენიმე საათი მოანდომა გერმანიის ნოტას შესწავლას „არამიკა“-ს შესახებ. დაბეჯითებით იუწყებიან, რომ გერმანიის განმარტება არ აკმაყოფილებს ამერიკის მთავრობასო.

**ნიუ-იორკი,** 28 აგვ. ჩამოვიდა ინგლის-საფრანგეთის საფინანსო კომისიის 6 წევრი, რომლებსაც დავალებული აქვს კურსის მოწესრიგება.

**მარსელი,** 28 აგვ. საფრანგეთის გემი „ოდ“-ი, რომელიც მარსელიდან ორანს მიემგზავრებოდა წყალქვეშა ნავის ნაღმმა ჩასძირა.

**ისპაჰანი,** 27 აგვ. შირაზში დაჭრილი ინგლისის ვიცე კონსული გარდაიცვალა. მრავალი ინგლისელი სტოვებს ისპაჰანს. რუსები და ფრანგები გასასვლელად ემზადებიან.

**სტოკჰოლმი,** 28 აგვ. ვისბიდან იტყობინებიან, რომ 27 აგვ. ბალტიის ზღვაში ვისბის ჩრდილოეთით ზარბაზნის გრიალი ისმოდაო, „ცეპელინი“ გოტლანდთან გამოჩნდა და რიგის ყურასაკენ გაემართა.

# შემოწირულება

რედაქციამ მიიღო **ელისაბედ დათეშიძისაგან** 20 მანეთი, აქედან ერთი თუმანი ვაჟა-ფშაველას ოჯახის გარდასაცემად და ერთი თუმანიც წალვერში ქართველ მოღვაწეთათვის შენობის ასაგებ ფონდისთვის.

# გერმანიაში დატყვევებულთა ნათესავების საყურადღებოდ

ვისაც სურს გერმანიაში მყოფ ტყვეებს გაუგზავნოს ფული ან კიდევ რაიმე ამანათი, იმან უნდა იხელმძღვანელოს შემდეგის კანონით:

ამანათის წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას (5 კილოგრამს). ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული სწორი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. საჭიროა აგრეთვე ამანათს ზედ ეკრას პატარა ქაღალდი შემდეგის წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die
> russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით, ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** ჰგზავნის. ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

ან Suise, Bern, Ensingenstasse, 48 A. A. Бахерахтъ

ან კიდევ: Bangue Papulaire Suisse, Fonds Russe pour les prisonniers de guerre.

ბ. რედაქტორო! გახლებთ ორ თუმანს (20 მ.) [illegible] ნაცვლად და [illegible] გთხოვთ გარდასცეთ მის ოჯახს.

მოსე და გიორგი ხელაშვილნი.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . . | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 2 ს. | 16 წ. | საღ. |
| გურჯაანიდან . . . | 2 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . . | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. | 42 წ. | საღ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . . | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ | 13 „ | „ |
| ბილისში , . . . | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ | 07 „ | „ |

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| „ სააგარ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |


წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—34)

თევზის მრეწველნი

ძმ. მეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ელექტრომბეჭდავი სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან